ოქმი:**ო63. 63253173**
თარიღი:**13/11/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ. სამტრედია 30 ოქტომბერი, 2025 წელი.

2025 წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომა გახსნა N54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ.

სხდომას ესწრებოდნენ: **ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, ჯონი თევზაძე, თენგიზ ცაგურია, მიხეილ კვანტალიანი, ხვიჩა ფანცულაია, გიორგი გაგუა, ტარიელ დვალიშვილი, ლაშა მუქერია, მაია ტალაბაძე, მერაბ თევზაძე, ემზარ კრავეიშვილი, ქიშვარდ ღაღანიძე, პაატა კოხრეიძე, კობა ჟორჟოლიანი, როლანდ ეცადეიშვილი, ვარგისო ჩაჩუა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ზაზა ადეიშვილი, გივი მურღულაია, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ცომაია, კირილე ბერაძე, ანა გეგეშიძე, ლაშა ნიკოლეიშვილი, შოთა სტურუა, გივი ჯულაყიძე. .**

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბეჟან გეგეშიძე.
3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;
4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე.
5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საქმეთა სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე.
6. ა.(ა).ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების წარმომადგენლები.
7. პარლამენტის დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები.

8. საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები.

10. ადგილობრივი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

VI მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გახსნა N54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ. ,,საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა მოიწვია საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მე, როგორც სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მაქვს პატივი გავხსნა ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა.

მივესალმები საკრებულოს ახლად არჩეულ წევრებს, მედიის წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას. პატივცემულო საკრებულოს წევრებო, გილოცავთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრად არჩევას.

2025 წლის 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, გამჭვირვალე, მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, კანონით გათვალისწინებული ყველა ეტაპის დაცვით ჩატარდა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოხატვა, ყველა მონაწილე სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნა, საარჩევნო ელექტრონული აპარატები ფართო მასშტაბით გამოიყენა, რაც კიდევ უფრო ზრდის პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ნდობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების, პოლიტიკური და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით. საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობა და დაკვირვება თავის მხრივ ხელს უწყობდა პროცესის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ინფორმირებას.

მადლობა თითოეულ ამომრჩეველს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და ყველა ჩართულ მხარეს, მათ შორის საარჩევნო კომისიების წევრებს პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით შესრულებული საქმისათვის. როგორც თქვენთვის ცნობილია საოლქო საარჩევნო კომისიამ საბოლოო შედეგები 15 ოქტომბერს შეაჯამა. ახლი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა 33 წევრით. მათ შორის პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული წარმომადგენლებით. თითოეული მანდატი ძალაში შევიდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებიდან 2 კვირის თავზე, 29 ოქტომბერს.

დღეს, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას გახსნილად ვაცხადებ. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში მუნიციპალიტეტის და ქვეყნის განვითარებისთვის''.

ნანა იმნაძემ, საკრებულოს გადასცა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რათა მათ განახორციელონ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ნაწილში სწორედ ის პროცედურები, რომელიც შემდგომში წარმოადგენს არჩეულ წევრთა უფლებამოსილების ცნობას.

შემდეგი პროცედურების წარმართვის მიზნით, ნანა იმნაძემ, თხოვა საკრებულოს უხუცეს წევრს, ბატონ ტარიელ დვალიშვილს.

სიტყვა ითხოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ. ,,მოგესალმებით, მინდა თითოეულ თქვენთაგანს მოგილოცოთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობა. პირველ რიგში მადლობა გადავუხადო ჩვენს ამომრჩეველს. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ღირსეულად იყო წარმოდგენილი საარჩევნო პროცესი და შესაბამისად, ჩვენმა თანამოქალაქეებმა გააკეთეს მათთვის სასურველი არჩევანი. ჩემთვის პირადად, დიდი პატივია ვემსახურო მეორე ვადით ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტს. იმ მუნიციპალიტეტს, სადაც სამი ათეული წელია პირადად მე ვმსახურობ თითოეულ თქვენთაგანთან ერთად მხარდამხარ. ბევრ საჭინაო პროექტის განხორციელებაში მიგვიღია მონაწილეობა. ბევრი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს დასახული ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში

წარმომადგენლობითი ორგანოსა და აღმასრულებელი ორგანოს ჯანსაღი თანამშრომლობის რეჟიმს. მინდა წარმატებები გისურვოთ. დარწმუნებული ვარ, მომდევნო ოთხი წელი იქნება ძალიან საინტერესო და ბევრი წარმატებული პროექტის განხორციელების წელი. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ის ღვაწლი, რაც წინა მოწვევის საკრებულოს ჰქონდა მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი. თითოეულ წევრს მინდა მადლობა გადავუხადო გაწეული საქმიანობისთვის და აუცილებლად მინდა ავღნიშნო ის სამწუხარო რეალობა, ის ფაქტი, რომ რამოდენიმე საკრებულოს წევრი, ჩვენი კოლეგა, თანამებრძოლი გამოაკლდა წინა მოწვევის საკრებულოს. მინდა წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ბატონების: ნუგზარ ჯამბურიას, ილია მჟავიას და ჯონი ახობაძის ხსოვნას. (საკრებულოს წევრებმა, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს წინა მოწვევის საკრებულოს გარდაცვლილ წევრების ხსოვნას).

ტარიელ დვალიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს: ,,მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო! გულწრფელად გილოცავთ VI მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის გახსნას.

მივესალმები სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ძვირფას სტუმრებს, მივესალმები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმდომარეს ქ-ნ ნანას! მადლობას მოვაწსენებ მას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს სხდომის გახსნისთვის. პატივცემულო კოლეგებო ჩვენ, საკრებულოს წევრები ვალდებული ვართ ვიმოქმედოთ ღირსეულად, ჩვენი ქალაქისა და ჩვენი მოსახლეობის საერთო ინტერესების შესაბამისად. საკრებულო წარმოადგენს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნდობის სიმბოლოს და ჩვენი ვალია, რომ ამ ნდობას ღირსეულად ვუპასუხოთ. ვიმუშაოთ ერთად, ურთიერთპატივისცემით ჩვენი სოფლებისა და მთელი სამტრედიის განვითარებისთვის. მე, როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს უხუცეს წევრს, პატივი მაქვს ვუხელმძღვანელო დღევანდელ საკრებულოს სხდომას, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მე გახლავართ 72 წლის, ხოლო საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი არის 22 წლის. ჩვენ შორის 50 წლიანი სხვაობაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩვენს ერთობლივ მუშაობას და საერთო საქმის კეთებას. კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ.

წარმოგიდგენთ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს დასამტკიცებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი''-ს 151-ე მუხლის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ (საკრებულოს უხუცესმა წევრმა) საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ.
3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.
5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.
6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.
7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.
8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.
9. საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის **კვოტების**

განსაზღვრის შესახებ.

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

16. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

17. სხვადასხვა.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2025 წლის 30 ოქტომბრის, სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.**

პარტია ,,ლელო''-ს წარმომადგენელმა, გივი ჯულაყიძემ, აღნიშნა, რომ რჩება საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებს საკრებულოს მუშაობაში.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ''.**

ტარიელ დვალიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა არჩეული იქნას დროებითი სამანდატო კომისია, სამი წევრის შემადგენლობით. გთხოვთ, დაასახელოთ კანდიდატურები.

დროებითი სამანდატო კომისიის წევრებად დასახელდა შემდეგი კანდიდატურები:

1. ლელა ჩირგოლაშვილი
2. მარიამ ცომაია
3. მაია ტალაბაძე

თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. კენჭისყრის შედეგად (32 ხმით) არჩეული იქნა დროებითი სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ცომაია, მაია ტალაბაძე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (32 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ''.**

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ''.

ტარიელ დვალიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა არჩეული იქნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია, სამი წევრის შემადგენლობით. გთხოვთ, დაასახელოთ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრებმა დაასახელეს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სამი კანდიდატურა:

1. გიორგი გაგუა
2. ანა გეგეშიძე
3. ლაშა მუქერია

თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. კენჭისყრის შედეგად (32 ხმით) არჩეული იქნა დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გიორგი გაგუა, ანა გეგეშიძე, ლაშა მუქერია.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (32 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ''.**

კომისიებმა დაიკავეს მათთვის განკუთვნილი ადგილები და შეუდგნენ მუშაობას. დროებითმა სამანდატო და დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიებმა, თავიანთი შემადგენლობიდან აირჩიერს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე. კერძოდ, დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლელა ჩორგოლაშვილი, ხოლო დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანა გეგეშიძე (კომისიების შესაბამისი ოქმები საკრებულოს სხდომის ოქმს თან ერთვის).

ტარიელ დვალიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს: ,,გთხოვთ, პირადი განცხადებით, მიმართოთ დროებით სამანდატო კომისიას, საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატის დასახელებასთან დაკავშირებით''.

დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, ლელა ჩორგოლაშვილმა, საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ დროებით სამანდატო კომისიაში, დარეგისტრირდა საკრებულოს 31 წევრის განცხადება, რომლებმაც საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს ვაჟა სტურუას კანდიდატურა.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> - სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა, აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების მიერ შემოსულია 31 განცხადება, რომლითაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულია **ვაჟა სტურუას** კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ვაჟა სტურუას, თანახმაა თუ არა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა. ვაჟა სტურუამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა თანხმობა. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ვაჟა სტურუას ბიოგრაფია და მისი შემოქმედებითი გზა.

დაევალა დროებით ხმის დამთვლელ კომისიას, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ფარული კენჭისყრის პროცედურების სამართლიანი ჩატარება და კენჭისყრის შედეგების შესახებ ეცნობოს საკრებულოს.

ვთხოვ, დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ, შემდეგი შემადგენლობით: ანა გეგეშიძე-თავმჯდომარე, გიორგი გაგუა-მდივანი, ლაშა მუქერია-წევრი, კანონის შესაბამისად იმუშაოს ფარული კენჭისყრის პროცედურებზე და საკრებულოს წარმოუდგინეს კენჭისყრის შედეგები.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 32-მა წევრმა, (კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 1-მა წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 11:15 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 11:27 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: **ვაჟა სტურუას,** საკრებულოს 32 წევრიდან, მხარი დაუჭირა 31-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა. 1 ბიულეტენი აღმოჩნდა ბათილი.

ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით (31 ხმა), სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ვაჟა სტურუა.**

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით), კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა (გივი ჯულაყიძემ), დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.**

სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა მიულოცა ვაჟა სტურუას საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა და გადასცა სხდომის წაყვანის უფლებამოსილება.

ვაჟა სტურუა მიესალმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს. მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და უსურვა შემდგომი წარმატებები. აღნიშნა, ,,დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა წარმოადგენდე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს. მადლობას ვუხდი ყოველ თქვენგანს ამ გამოცხადებული ნდობისათვის, მადლობას ვუხდი ამომრჩეველს, ვინც მხარი დაგვიჭირა და მოგვცა შესაძლებლობა ვიყოთ მათი ინტერესების დამცველი საკრებულოში. ჩვენ ვალდებული ვართ ვიმოქმედოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით, ჩვენი ქალაქისა და სოფლების მოსახლეობის საერთო ინტერესების შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. მჯერა, რომ ერთობლივი მუშაობით შევძლებთ თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალგაზრდების მხარდაჭერას, განათლების, კულტურისა და სპორტის გაძლიერებას. ჩვენი მიზანია სამტრედია გახდეს კიდევ უფრო წარმატებული მუნიციპალიტეტი. მინდა მადლობა გადავუხადო წინა მოწვევის საკრებულოს წევრებს, კიდევ ერთხელ გავიხსენო და პატივი მივაგო ჩვენი რიგებიდან უდროოდ გარდაცვლილ საკრებულოს წევრებს, ბატონებს: ნუგზარ ჯამბურიას, ილია მჟავიას და ჯონი ახობაძეს. მჯერა, რომ ახალი საკრებულო იქნება მშვიდობიანი, წარმატებული ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე ორიენტირებული.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ კანონის შესაბამისად, დაასახელა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, გიორგი მეიშვილის, კანდიდატურა.

გიორგი მეიშვილმა თანხმობა განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო გიორგი მეიშვილის ავტობიოგრაფია.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შეუდგა კენჭისყრის პროცედურების

ჩატარებას.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 32-მა წევრმა, ფარული კენჭისყრა დაიწყო 11:37 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 11:46 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: -გიორგი მეიშვილს, საკრებულოს 32 წევრიდან მხარი დაუჭირა 32-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით (32 ხმა), სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნა **გიორგი მეიშვილი.**

(ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N3 თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (32 ხმით), კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა (გივი ჯულაყიძემ), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ''.

გიორგი მეიშვილმა, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს იმ ნდობისთვის, რომელიც მას გამოუცხადეს. ,,დიდი პასუხისმგებლობაა ვიყო საკრებულოს წევრი და მეკავოს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. 35 წელი ვემსახურე განათლებას, ვარ პედაგოგი, ვიყავი დირექტორი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. გარკვეული გამოცდილება მაქვს აღმასრულებელ ორგანოში მუშაობის. დღეს ვარ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი. თქვენი იმედი მაქვს, ერთად, გუნდურად მუშაობით შევძლებთ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას''.

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, კანონის შესაბამისად დაასახელა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ნათია პაპავას, კანდიდატურა.

ნათია პაპავამ, თანხმობა განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალბატონ ნათია პაპავას ავტობიოგრაფია.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 32-მა წევრმა. ფარული კენჭისყრა დაიწყო 11:50 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 11:57 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ნათია პაპავას საკრებულოს 32 წევრიდან მხარი დაუჭირა 32-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (32 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა **ნათია პაპავა.**

(ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N4 თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (32 ხმით), კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, (გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ''.

ნათია პაპავამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ნდობისა და თანადგომისათვის. ,,განსაკუთრებით მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს, რომლებმაც მომცა საშუალება გავმხდარიყავი საკრებულოს წევრი და თქვენთან ერთად მეკეთებინა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო საქმეები. იმედს ვიტოვებ, ჩვენი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი''.

<u>დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ კანონის შესაბამისად, დაასახელა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ირაკლი მელაშვილის, კანდიდატურა.

ირაკლი მელაშვილმა თანხმობა განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ირაკლი მელაშვილის ავტობიოგრაფია.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 32-მა წევრმა. ფარული კენჭისყრა დაიწყო 12:00 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 12:06 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ირაკლი მელაშვილს საკრებულოს 32 წევრიდან მხარი დაუჭირა 32-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით (32 ხმა), სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა **ირაკლი მელაშვილი.**

(ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N5 თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (32 ხმით), კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, (გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ''.

ირაკლი მელაშვილი - ,,მინდა მადლობა ვუთხრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას იმისათვის, რომ მხარი დაგვიჭირა და მოგვცა მანდატი წარმოდგენილი ვყოფილიყავით საკრებულოში, საიდანაც მუხლჩაუხრელად უნდა ვემსახუროთ ჩვენს მოსახლეობას''.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, გამოაცხადა შესვენება 20 წუთი, რათა რეგისტრაცია გაიაროს ფრაქციებმა და საკრებულოს წევრებმა განცხადებით დააფიქსირონ თუ, რომელ კომისიაში სურთ მუშაობა.

სხდომა განახლდა 12:20 საათზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33-მა წევრმა.

დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, ლელა ჩორგოლაშვილმა, საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოში დარეგისტრირდა ორი ფრაქცია: (კომისიის სხდომის ოქმი N2)

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება''. ფრაქცია შედგება 29 წევრისაგან. თავმჯდომარე- თენგიზ ცაგურია, მოადგილეები: **მიხეილ კვანტალიანი, ხვიჩა ფანცულაია, გიორგი გაგუა, ტარიელ დვალიშვილი, ლაშა მუქერია, მერაბ თევზაძე, მაია ტალაბაძე.** წარმოდგენილია ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება, ფრაქციის წესდება და სხდომის ოქმი.

2. ფრაქცია ,,ხალხის ძალა''. ფრაქცია შედგება 3 წევრისაგან. თავმჯდომარე - პაატა

კოხრეიძე, მოადგილე - გრიგოლ ჩიგოგიძე. წარმოდგენილია ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება, ფრაქციის წესდება და სხდომის ოქმი.

<u>დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების საკითხი.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილია ოქმი N1 და N2, საიდანაც ირკვევა, რომ დროებით სამანდატო კომისიას განცხადებით მიმართა ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარემ, თენგიზ ცაგურიამ, ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ფრაქცია შედგება 29 წევრისაგან. ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს 7 მოადგილე. წარმოგიდგენთ შესაბამის პროექტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

ცნობად იქნეს მიღებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება''-ს დაფუძნება შემდეგი შემადგენლობით:

1. **თენგიზ ცაგურია - თავმჯდომარე**
2. **ვაჟა სტურუა**
3. **მანანა სირბილაძე**
4. **გიორგი მეიშვილი**
5. **ემზარ კრავეიშვილი**
6. **მიხეილ კვანტალიანი - მოადგილე**
7. **ქიშვარდ ღაღანიძე**
8. **ხვიჩა ფანცულაია - მოადგილე**
9. **კობა ჟორჟოლიანი**
10. **ჯონი თევზაძე**
11. **როლანდ ეცადეიშვილი**
12. **გიორგი გაგუა - მოადგილე**
13. **ვარგისო ჩაჩუა**
14. **ნუგზარ ნუცუბიძე**
15. **ზაზა ადეიშვილი**
16. **გოჩა არველაძე**
17. **ტარიელ დვალიშვილი - მოადგილე**
18. **ნათია პაპავა**
19. **ლაშა მუქერია - მოადგილე**
20. **გივი მურღულაია**
21. **ირაკლი მელაშვილი**
22. **მერაბ თევზაძე - მოადგილე**
23. **ლელა ჩორგოლაშვილი**
24. **მაია ტალაბაძე - მოადგილე**
25. **მარიამ ცომაია**
26. **კირილე ბერაძე**
27. **ანა გეგეშიძე**
28. **ლაშა ნიკოლეიშვილი**
29. **შოთა სტურუა**

დაადგინეს: მიღებულ იქნა ცნობად, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნება''. (დანართი N1)**

<u>დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების საკითხი.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილია ოქმი N2, საიდანაც ირკვევა, რომ დროებით სამანდატო კომისიას განცხადებით მიმართა ფრაქცია ,,ხალხის ძალა''-ს თავმჯდომარემ, პაატა კოხრეიძემ, ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ფრაქცია შედგება 3 წევრისაგან. ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს 1 მოადგილე.

ცნობად იქნეს მიღებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა''-ს დაფუძნება შემდეგი შემადგენლობით:

1. **პაატა კოხრეიძე - თავმჯდომარე**
2. **გრიგოლ ჩიგოგიძე - მოადგილე**
3. **მერაბ უღრელიძე**

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული, ფრაქცია ,,ხალხის ძალა''-ს დაფუძნება. (დანართი N2)

<u>დროებითმა სამანდატო კომისიამ იმუშავა</u> **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ და მომზადდა დადგენილების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა საკრებულოს.**

<u>დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილია საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები დადგენილების პროექტის სახით, რომლის თანახმად, **სამტრედიის** მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 15 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება“ – 13 წევრი;

ბ) ფრაქცია “ხალხის ძალა“ – 1 წევრი;

- საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (32 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

/დადგენილება თან ერთვის/

გამოცხადდა შესვენება 20 წუთი.

სხდომა განახლდა 12:50 საათზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა.

საკრებულოს წევრმა, ზაზა ადეიშვილა, საპატიო მიზეზით დატოვა საკრებულოს სხდომა.

<u>დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ

<u>ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-მ წარმოადგინა საკრებულოს კომისიების შემადგენლობა შემდეგი რედაქციით:</u> (შესაბამისი ოქმი თან ერთვის)

1) **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობა:**

   1. **მანანა სირბილაძე**
   2. **პაატა კოხრეიძე**
   3. **მაია ტალაბაძე**
   4. **გოჩა არველაძე**
   5. **მარიამ ცომაია**
   6. **ხვიჩა ფანცულაია**
   7. **თენგიზ ცაგურია**

2) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

   1. **გოჩა არველაძე**
   2. **ვაჟა სტურუა**
   3. **მერაბ უღრელიძე**
   4. **ირაკლი მელაშვილი**
   5. **კირილე ბერაძე**
   6. **ანა გეგეშიძე**
   7. **გივი ჯულაყიძე**

3) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

   1. **მერაბ უღრელიძე**
   2. თენგიზ ცაგურია
   3. გიორგი გაგუა
   4. ემზარ კრავეიშვილი

5. მიხეილ კვანტალიანი

6. პაატა კოხრეიძე

7. მანანა სირბილაძე

4) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

1. **ნუგზარ ნუცუბიძე**
2. **ნათია პაპავა**
3. **ზაზა ადეიშვილი**
4. **ტარიელ დვალიშვილი**
5. **გრიგოლ ჩიგოგიძე**
6. **ჯონი თევზაძე**
7. **გიორგი მეიშვილი**

5) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

1. **ჯონი თევზაძე**
2. **ირაკლი მელაშვილი**
3. **მაია ტალაბაძე**
4. **ლელა ჩორგოლაშვილი**
5. **ლაშა მუქერია**
6. **ტარიელ დვალიშვილი**
7. **გიორგი მეიშვილი**
8. **როლანდ ეცადეიშვილი**

დაადგინეს: *ცნობად იქნეს მიღებული,* სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა (დანართი N3).

- ***ასევე ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-მ წარმოადგინა საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა კანდიდატების სია შემდეგი რედაქციით:***

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულია მანანა სირბილაძის კანდიდატურა.**

2. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო**

საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულია გოჩა არველაძის კანდიდატურა.

3. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულია მერაბ უღრელიძის კანდიდატურა.**

4. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, დასახელებულია ნუგზარ ნუცუბიძის კანდიდატურა.**

5. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულია ჯონი თევზაძის კანდიდატურა.**

-

კანონის თანახმად, საკრებულოს სხდომაზე კომისიის თავმჯდომარეების არჩევა, განხორციელდა ფარული კენჭისყრის შესაბამისად.

<u>დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''**, რომლის თანახმად **იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის** შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია მანანა სირბილაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა უნდა განხორციელდეს ფარული კენჭისყრით, რისთვისაც მოუწოდა დროებით ხმის დამთვლელ კომისიას, კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ფარული კენჭისყრის პოცედურები.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 31-მა წევრმა, ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:01 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:06 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: მანანა სირბილაძეს საკრებულოს 31 წევრიდან მხარი დაუჭირა 31-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (31 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **მანანა სირბილაძე.** (დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N6 საკრებულოს ოქმს თან ერთვის**).**

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა**

დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'',** რომლის თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია გოჩა არველაძის კანდიდატურა.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 31-მა წევრმა, ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:09 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:14 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: გოჩა არველაძეს საკრებულოს 31 წევრიდან მხარი დაუჭირა 31-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (31 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **გოჩა არველაძე**

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N7, საკრებულოს ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'', რომლის თანახმად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია მერაბ უღრელიძის კანდიდატურა.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ, დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 31-მა წევრმა, ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:17 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:21 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: მერაბ უღრელიძეს საკრებულოს 31 წევრიდან მხარი დაუჭირა 31-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (31 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **მერაბ უღრელიძე.**

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N8, საკრებულოს ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'', რომლის თანახმად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია ნუგზარ ნუცუბიძის კანდიდატურა.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ, დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 31-მა წევრმა, ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:28 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:35 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ნუგზარ ნუცუბიძეს საკრებულოს 31 წევრიდან მხარი დაუჭირა 31-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (31 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ნუგზარ ნუცუბიძე.**

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N9, საკრებულოს ოქმს თან ერთვის)

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'', რომლის თანახმად საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია ჯონი თევზაძის კანდიდატურა.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ, დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 31-მა წევრმა, ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:45 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:56 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ჯონი თევზაძეს საკრებულოს 31 წევრიდან მხარი დაუჭირა 31-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით (31 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ჯონი თევზაძე.**

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N10, საკრებულოს ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ვაჟა სტურუამ, წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

პროექტის შესაბამისად წარმოდგენილია, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა.**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით), კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ',' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

სხდომის დასასრულს, საკრებულოს ორმა წევრმა, ლაშა ნიკოლეიშვილმა (განცხადების **N:19/63253032-63)** და შოთა სტურუამ (განცხადების **N:19/6325303001-63)**, პირადი განცხადებით, მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარეს, ვაჟა სტურუას, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობირივ თვითმმართველობის შესახებ'' 43- მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტისა, 24- ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ.გ'' ქვეპუნქტის და საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრბეულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის შესაბამისად, ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრებს: ლაშა ნიკოლეიშვილს და შოთა სტურუას. აღნიშნული მიღებული იქნას ცნობად.

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული, მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრების, ლაშა ნიკოლეიშვილის და შოთა სტურუას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. აღნიშნულის შესახებ, ეცნობოს N54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიას.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი